კვირა, 10 ივლისი 1927 წ. ყოველკვირეული გამოცემისა მეოთხე ფასი 15 კაპ.

„ტარტაროზი" № 108




ინგლისის ბურჯი

ჟურ. „პროჟე

[library stamp]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ა

ერთი პატარა ოცნება ყოველ ადამიანს აქვს.

კოწია ბანცალაძეც ადამიანი იყო და ამ მხრივ ბევრ არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვებს.

დილიდან სადილობამდის მსახურობდა. სადილის შემდეგ წამოწვებოდა ცოტას. საღამოს სასეირნოთ გამოვიდოდა. 11 საათზე ისევ დაიძინებდა და ეძინა დილის 6 საათამდე, და ასე ყოველდღე.

რა გასაკვირია, რომ კოწია ბანცალაძესაც ჰქონოდა ერთი პატარა ოცნება.

ცხრა წელიწადი მუშაობდა კოწია ერთ ადგილას და ამ ცხრა წლის განმავლობაში ეს პატარა ოცნება არ შორდებოდა მის გონებას.

მაგრამ ოცნება თითქოს მიუწვდომელი იყო.

ბოლოს, მეათე წლის დასაწყისში, კოწიამ დაჰკარგა ყოველი მოთმინება და უიმედოთ ჩააქნია ხელი.

— ანასუნ, მისი საქმე!—წამოიძახა მან და ოცნება დავიწყებას მისცა.

და აი სწორედ მაშინ გაუღიმა ბედმა კოწიას და ფრთები შეასხა მის ოცნებას.

რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც კოწია ჩინეთის ამბების ფიქრში იყო გართული, უეცრად გამგემ შეიხმო კაბინეტში.

გამოვიდა კაბინეტიდან კოწია შეწითლებულ სახით და ბრწყინვალე თვალებით.

ცოტა ხნის შემდეგ დამტარებელმა კოწიას რაღაც ქაღალდი ჩააბარა და უსურვა სამივლინებლო ავანსის კეთილად მიღება.

ეს ქაღალდი იყო, არც მეტი არც ნაკლები, მანდატი მივლინების შესახებ, ე. ი. ის ლურჯი ჩიტი, რომელზედაც ოცნებობდა კოწია ცხრა წლის განმავლობაში.

მანდატის მიღების შემდეგ კოწიამ ერთი უცნაური მოვლენა შენიშნა თავის თავზე.

საზოგადოთ მიღებულია, რომ ადამიანი იზრდება 23—25 წლამდე, თუ კი ადრე არ დასრულდა ეს ზრდა.

(უცნაური მოსაზრებაა. გამოდის რომ ამის შემდეგ ადამიანის ჭამა-სმა უძიზნოა, და მხოლოდ რესტორანჩიკებს უწყობს ხელს).

კოწია კი 32 წლის კაცი იყო.

როგორც ბაბუამისს, ისე არაფერი სჯეროდა მედიცინის, (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ექიმის მიერ შევსებულ ბიულეტენით ფულს იღებდა დამზღვევ სალაროდან) ჭირივით სძულდა ფიზკულტურა, და მიუხედავად ყოველივე ამისა, მანადტის მიღების შემდეგ, იგრძნო რომ სიმაღლეში აიწია, თხელი მუცელიც თითქოს წამოებერა და რაღაც დარბაისული შეხედულება მიიღო.

არც მზის, არც ზღვის და არც მთვარის ვახები. ყოველგვარ კურორტების და მედიკურ საშუალებების გარეშე. სულ რაღაც ერთ პატარა მანდატის მეოხებით.

მაგრამ კოწიას არც ის დარჩა შეუმჩნეველი, რომ რამდენად აიწია მან სიმაღლეში, სწორედ ორი იმდენი დაიწიეს თანამოშუშავეებმა.

ჭეშმარიტად, საკვირველი იყო ძალა ამ მანდატისა. როდესაც რამდენიმე საათის შემდეგ, კოწიამ ავახსიც ჩაიდო ჯიბეში, იგი განცვიფრებით აკვირდებოდა თავის თავს.

რაღაც არაჩვეულებრივი რამ ემართებოდა.

ეს დამტკიცდა, როდესაც ოთახიდან კარიდორში გასვლა მოუხდა.

თუ აქამდის კარებში ბუზივით შეუმჩნევლად გადიოდა, დღეს იძულებული იყო საკმაოდ დაეწარა ძირს თავი, რომ საკომანდიროვკოდ გამზადებული შუბლი კედლისათვის არ მიეხალებია.

(ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორი არარაციონალური სახე აქვს თახამედროვე კარებს. ვინ არ იცის, რომ ისინი სრულებით ველარ აკმაყოფილებენ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს. კარებისათვის სიგანივრის შომატება კიდევ შეიძლება (მეორე ნახევარის გაღებით) სიმაღლის აწევას კი უკვე აღარაფერი ეშველება, და ეს მეოცე საუკუნეში, როდესაც ტეხნიკა და მეცხიერება გიგანტიურ ნაბიჯებით მიდის წინ. დროა უკვე შემოღებული იქნეს ისეთი კარები, რომლებიც პატარა კაცის გავლის დროს ავტომატიურად პატარავდებოდეს, დიდის გავლის დროს კი შესაფერისად ფართოვდებოდეს. მაშინ ადვილად შეიძლება გაგება, რომელია პატარა და რომელია დიდი კაცი).

სამუშაო დღის უკანასკნელი საათი, ისე ზანტად მიდიოდა, როგორც მატარებელი რიონსა და ქუთაისს შორის.

ბოლოს, როგორც იქნა მოელო ბოლო მუშაობასაც, და კოწია თავისს (ხვალიდან უკვე—ყოფილ) მეგობრებთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მეგობრები რესტორანში ისხდენ და ერთი მათგანი ჭიქით ხელში ასე მიმართავდა კოწიას:

— ძვირფასო კოწია... ნება მიბოძე, მოგილოცო ეს ისტორიული დღე... დღე, რომელმაც გახსნა შენთვის ავანსების და მივლინების ხანა. შენი მეგობრები მუდამ იმედს ამყარებდენ შენზე და იმედია, არც მომავალში დაუკარგავ მათ ამ იმედს. დარწმუნებული ვართ, რომ გაჭირვების ჟამს დაუყოვნებლივ გამოგვიწვდი შენს მძლავრ ხელს და ერთის მოწევით გამოსტაცებ ჩვენს თავს ფინანსიურ, იურიდიულ და მორალურ უბედურებას... გისურვებთ, ამხანაგო კოწია, რომ მივლინებების მკვიდრ ნიადაგზე საკუთარ კაბინეტის კედლები აგემართოს და კეთილად მოწყობილიყვე შიგ!.. ვაშა!..

მხოლოდ ერთი საათის შემდეგ უპასუხა კოწიამ მეგობრებს მოკლე, მაგრამ გრძნობით გამთბარ სიტყვებით:

— მმმეგობ...რებო!.. გმადლობთ პატივისცემისათვის.., დიახ, გმადლობთ... მე თქვენ გელაპარაკებით, რომ გმადლობთ... მორჩა და გათავდა... მე არავის უფლებას არ მივცემ... არ მივცემ... შეეკითხეთ მდივანს... მორჩა და გათავდა... კიდევ გმადლობთ... მე არ დავივიწყებ მეგობრებს, რომლებმაც ასე თუ ისე... სახელდობრ... რაც აღსანიშნავია... ეს იგი.. ამ ჩაის ჭიქით, მე ვადღეგრძელებ იმ მანდატს, რომელიცა რომა... დიახ, მე ვადღეგრძელებ... მორჩა და გათავდა... კრინტი მეთქი... შეეკითხედ პირად მდივანს.., დიახ... მეტი არაფერი... მორჩა და გათავდა...

უკვე შეღამებული იყო, როდესაც კოწია, ნიშნად გამომშვიდობებისა მაგრად გადაეხვია მეგობრებს და შინისაკენ გაუდგა გზას.

უნდა ითქვას, რომ თუმცა კოწიას პოლიტწრე სამსახურში განვლილი ჰქონდა (ყოველ შემთხვევისთვის) და პოლიტიკასაც თვალყურს ადევნებდა, მაგრამ ოპოზიციის შინაარსს არ ჩაკვირვებია მაინცა და მაინც.

დღეს კი კოწიამ აშკარად დაინახა, რომ მის თავს და ფეხებს შორის რაღაც მწვავე დისკუსია იყო გამართული.

კოწიას განზრახვა ჰქონდა სწორი და პირდაპირი გზით წასულიყო შინისაკენ, მაგრამ ფეხები ოპოზიციაში იდგენ და კოწიას დაუკითხავად ხან ერთ მხარესაკენ ეწეოდენ, ხან მეორე, და საერთოდ რაღაც მიდრეკილებას იჩენდენ მრუდხაზოვან გეომეტრიისაკენ.

კოწიას აზრად ჰქონდა ტრამვაის ვაგონში ჩამჯდარიყო, მაგრამ ოპოზიციონურად განწყობილმა ფეხებმა ელექტრონის ბოძთან მიიყვანეს ის.



კოწია/ გაკვირვებული მიჩერებოდა მის წინ აყუდებულ უცნობს, რომელიც ცალი თვალით ისე მკაცრად დასცქეროდა ზევიდან, რომ კოწია უკვე მზად იყო ეშიშვლა მანდატი ჯიბიდან.

მაგრამ უეცრად თვალი ეშმაკურად აციმციმდა და სიხარულით სავსე კოწია მაგრად გადაეხვია მოცინარ უცნობს.

უცნობი, თითქოს წაბარბაცდა ხვევნისაგან და ეშხით მთვრალი კოწია მზად იყო მის ფეხებთან დაელია სული.

მაგრამ მალე ისევ და ისევ ოპოზიციის წყალობით, კოწია კვლავ ტროტუარზე იყო.

იქიდან კიდევ ოპოზიციის და პოზიციის წყალობით ვილაცამ სადღაც წაიყვანა, და მხოლოდ მეორე დღეს გამოირკვა, რომ მანდატში მოხსენებული მიმართულება სრულებით არ შეესაბამებოდა იმ მიმართულებას, საითაც უნდა გამგზავრებულიყო ეხლა კოწია.

**სინემატო.**

# „დაკავებულ ლიანდაგზე"

მთელი ათი წლის განმავლობაში ღირსეულად ვასრულებდი ტელეგრაფისტის მოვალეობას. ჯამაგირის სიცოტავე ძალიან მაწუხებდა და ყოველთვის გამოსავალ გზას ვეძებდი.

როგორც იქნა ეს გზაც მივაგენი, ვიარე, ვიარე, და მოძრაობის დარგის განკარგულებაში ამოვყავი თავი; ერთ-ერთ მივარდნილ-მივიწყებულ სადგურის უფროსის უფროს თანაშემწედ გამოვიჭიმე.

როდესაც წითელი ქუდი დავიხურე, სიამოვნებით წამოვიძახე:

— ახლა კი მეშველა; კაცი „ნაჩალნიკი" გავხდი; ოჯახს ფეხზე წამოვაყენებ; რიგიან ჯამაგირს მომცემენ; თანაც მეცადინი ბიჭი ვარ, ადმინისტრაციის ყურადღებას დავიმსახურებ და მალე დავწინაურდები—კარგა მოზრდილ სადგურზე გადამიყვანებენ თუ უფროსად არა, მის თანაშემწედ მაინც.

ამგვარ იმედებით შევუდექი სამსახურს.

მთელი სადგურის მუშაობა 1—2 თვის განმავლობაში ისე შევითვისე, რომ ძილში მყოფიც სასწრაფოდ მოგიგებდით პასუხს, თუ რამდენი ღირდა ერთი ძაღლის გაგზავნა ჩემი სადგურიდან ტფილისამდე.

ჩემთან ერთად, სხვათა შორის, სამმა ამხანაგმა შეისწავლა სადგურის უფროსის თანაშემწის მოვალეობა, მაგრამ ჭკვიანი კაცი მათ სადგურზე არ დაუშვებდა სამორიგეოდ.

მიუხედავათ ამისა, სამივენი დაინიშნენ ამა თუ იმ სად. უფ. თანაშემწეებათ. მაგრამ მალე გამოჩნდა თეთრი და შავი.., აბანოში კი არა—სამსახურში: თითქმის ერთსა და იმავე დროს სამივემ დაკავებულ ლიანდაგი[illegible] მატარებელი.

შეიძლება ხსენებული ამხანაგები სინჯავდენ მატარებლებს ჭიდაობის უნარიანობაში, მაგრამ ამ ჭიდაობას შედეგათ ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა და რამდენიმე ათასი მანეთის ზარალის მიყენება რკინის გზას.

მეგონა: ასეთი დანაშაულისათვის მათ უეჭველად სასტიკად დასჯიდენ. ჩემი ამხანაგები იყვენ და გული შემტკივოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცებლად, ჩემი ეჭვი არ გამართლდა. სამივე ამხანაგი ჩამოაყენეს სამ-სამი თვით კანტორის მოხელეებად, რამაც გამოიწვია მათი სხვა სადგურებზე გადაყვანა და გზის ხარჯების ასანაზღაურებელ ფულებით ჯიბეების დატენვა.

სამი თვის შემდეგ სამივე აღადგინეს თავიანთ ძველ თანამდებობაზე.

ამ სახით და საშუალებით თითო მათგანმა მიიღო სამას-სამასი მანეთი; ხოლო სამი თვის განმავლობაში ჩამოყენებით მოაკლდათ ჯამაგირიდან 50 მანეთი, ე. ი. წმინდა „მოგება" დარჩათ თვითეულს 250 მანეთი.

ჰო-და, როცა უარი მითხრეს გადაყვანაზე ფულის მოცემით, მეც დავტრიალდი, ხელად ავამუშავე ჩემი ჭკუა და მივიღე ყოველივე ზომები ტეხნიკურ ექსპლოატაციის წესების 107 მუხლის დარღვევისათვის, ე. ი. დაკავებულ ლიანდაგზე მატარებლის მიღებისათვის.

ვინაიდან ჩემ სადგურზე უცენტრალიზაციო, ე. ი. ხელით სამუშაო ისრებია და თანაც ერთ და იმავე დროს ერთი მეისრის მეტი არ მორიგეობს სადგურში, ამიტომ, როდესაც ორივე მხრიდან გამოვიდა მატარებლები, ერთის მისაღებათ მეისრე გავგზავნე, ხოლო მეორესათვის მე წაველი და ვაჟკაცურად გამოვიჭიმე ისართან.

ორივე მატარებლები ერთ და იმავე დროს შემოიჭრენ სადგურში, რამაც სრული შესაძლებლობა მომცა ხალხით სავსე მატარებელზე საქონლის მატარებლის დაჯახებისა; ამან კი გამოიწვია ორივე მატარებლის დამტვრევა.

მე არ დავიბენი. გავექანე და სამჯერ ისეთი ვზუნზლე უდანაშაულო მეისრეს, რომ გონება დაკარგული დაეცა ძირს

მიუხედავათ ამისა, ბოლოს და ბოლოს კომისიამ მაინც მე გამომიყვანა დამნაშავედ ტეხნ. ექსპლოატაციის წესების 107 მუხლის დარღვევაში და ორი თვის ვადით ჩამომაყენა მწონავად, რასაკვირველია, სხვა სადგურზე გადაყვანით.

ჩამოყენების წყალობით აღებული გზის ხარჯების ასანაზღაურებელი ფული, ნაღდი 350 მანეთი, გასესხებული მაქვს. ყოველთვის ბოლოს 35—35 მანეთს სარგებელს მაძლევს, თავნი კი ისევ თავნად რჩება და ინახება.

ორი თვე შემისრულდა და ისევ ძველი თანამდებობა დამიბრუნეს.

**იშტიანი.**

# 50,000 მან.

აბა როგორ შემეძლო წარმომედგინა, რომ მუდამ გაფხეკილ და თავის ბუდეთ გადაქცეულ ჩემს ჯიბეში, რომელშიაც ხელის ჩაყოფაც მეჯავრებოდა, ყრთბაშად, ორმოცდა ათი ათასი მანეთი ამოჰყოფდა თავს. რაც რომ მომგებიანი სესხის ბილეთი შევიძინე, იმის შემდეგ დღე და ღამე მოგება მელანდებოდა; ნისიის აღებისაც არ მეშინოდა და ვალის დარდიც არ მაწუხებდა. როდის დაიწყო გათამაშება, ან ვის რამდენი შეხვდა, ამის არაფერი ვიცი და არც დღეს მეცოდინებოდა, რომ ასე არ წასულიყო საქმე:

საღამოს სახლში არაჩვეულებრივ ადრე დავბრუნდი. ცოლი ჩვეულებისამებრ დაძინებული დამხვდა. ვინაიდან ადრე დაწოლას ჩვეული არ ვიყავი, წამოვწექი ლოგინზე და გაზეთის კითხვა დავიწყე. წავიკითხე: მოწინავე, მისი მიმყოლი, დეპეშები, ფინეთის ნოტა, ჩვენი პასუხი, მოწერილი ამბები, სოფლის კორესპონდენციები; მუშკორის შენიშვნები, განცხადებები: საწყალი ქმარი ცოლის გარდაცვალებას აუწყებს მოკეთეებს. ოლღა ლუჩავას ძაღლი დაკარგვია; სეკარის სითხე კარგი და ყველასთვის წამალი ყოფილა; ნიკო პოპალიშვილს ლექსების კრებული გამოუცა...

ტრიალებენ თავში წანაკითხის სურათები.

— ჩუ, რაო? გათამაშება მომხდარა! № 50857—მოიგო 50.000 მანეთი. არა, ეს დაუჯერებელია! ეს ხომ ჩემი ნომერია? აბა, დავხედო!—მივვარდი, ამოვიღე. ვნედავ: სწორია. ჩემს ბილეთს მოუგია. ვკრთი, ვკანკალებ. არ ვიცი რა ვქნა.

— ქეთო, ქეთო გაიღვიძე, შეხედე რა ამბავია ჩვენ თავს,—ვყვირი, ვაღვიძებ ცოლს; ის შეშინებული დგება. ვამშვიდებ, ვაგებინებ—რაშია საქმე. მაშინვე ვიცვამთ ტანზე, გვინდა ავიღოთ ფულები, მივდივართ მოსკოვში ფულის ასაღებათ, მივაგენით ყველაფერს. დაბალმა, შუბლმოტვლეპილმა კაცმა ბილეთი გამოგვართვა, ნომერი შეამოწმა და ორმოცდაათი ათასი მანეთი მოგვცა.

— ძირს სიღარიბე, გაუმარჯოს სიმდიდრეს.—დავიძახე მე და ჩემს ქალს მოვეხვიე. ეტლი, ავტო, რბილი რონოდა, რა გინდა, რას ინებებ, ქვეყანა ჩემს ხელშია. გამოვაწყვე ცოლი პეპელასავით, გამოვეწყვე მეც. რამოდენიმე ხანი და ისევ ბათომში ვართ, სახლებს ვიყიდე. ცოლს აგარაკზე ვგზავნი, უფრო თავისუფლად მინდა ვიყო ცოტა ხანს, საბჭოთა მუშაკების კლუბი. სადაც მე ვმსახურობდი, შესახედავათაც მეჯავრება. სისულელეა გაზეთებში მუშკორობა. „ტარტაროზი“! რაა „ტარტაროზი“. სწეროს სხვამ! წავიკითხავ თუ მსურს. ღმერთი მაგენს უშველის, რავაც პროლეტარობა კარგი იყოს. დაე, იყოს მაგენი პროლეტარი; მე კი მეყო პროლტარობა. რად მინდა მაგენის პარტია და სოციალისტიაბა. ფეხებზედაც არ მკიდია. ოხ, რა ცუდია, რომ ცოლიანი ვარ? ვიყო უცოლო,— სწორედ ბედნიერი ვიქნებოდი. გავსწევდი საზღვარგარედ, აზნაურობის მაძიებელმა მდივანმა პოლა ნეგრი შეირთო; მე რა გამიჭირდებოდა! ნეტავი მოკვდებოდეს ჩემი ცოლი, რომ ქორფა ვინმე შევირთო. რა არის ფული. როგორ იოლად ვიშოვე... მერე? ხომ ისე იოლათ შეიძლება მისი დაკარგვაც. ერთი ვნახოთ: დაგვესხა ყაჩაღები, ყველაფერი წაიღეს... არა, ღმერთმა დამიფაროს... ჩუ. ეს ვინ არის. ბიჭოს! მართლაც ყაჩაღებია!

კარებმა დაიჭრიალა და ოთახში ყაჩაღი შემოვარდა.

— ხელები ზევით. აბა ფულები მალე!

ყველაფერი გასინჯეს. ოცდაათი ათასი მანეთი ფულად მიაქვთ. ტანზე გაიხადეო? ეს რა მესმის. ცოლი მაინც არ გამეგზავნა ბახმაროზე. ორი აქეთ-იქიდან მომვარდა, გამქაჩეს, ამართვეს: საათი, ბეჭდები, ქუდი; მხდიან ფეხზე. ვიგინები; მილიციას უხმობ, მაგრამ მილიცია არსა სჩანს.

— თქვენ ჩემს გაცარცვას არ გაპატიებს პროლეტარიატი,—ვყვირი მე.—კომუნისტური პარტია თქვენ დაგსჯით, ჯალათებო; მშრომელი ხალხი მოგსპობს თქვენ.

— კარგი, ნუ ყბედობ, შენით გაიხადე, აბა!

— უკაცრავად, არც მე გავიხდი და, არც თქვენ გაგახდევინებთ,—დავიღრიალე და ერთ მათგანს ვწვდი კისერში. ხელებს მაგრად წავუჭირე და იატაკზე მოვადენიე ბრაგანი; სხვები გაიქცნენ. მე რაც ძალა და ღონე მაქვს ვსცემ იატაკზე წაქცეულ ყაჩაღს და დაჭრილ დათვივით ვღრიალებ. რამდენ ხანს ვცემე და ან კიდევ რამდენ ხანს ვსცემდი იმ უბედურს, ეს აღარ ვიცი, მხოლოდ ვიღაცამ ისეთი შემომკრა სახეში რაღაც მაგარი, რომ უსულოსავით ძირს დავეცი.

გრძნობაზე რომ მოვედი და თვალი გავახილე, ჩემი ოთახი მეზობლებით სავსე იყო. ჩემი ცოლი თავპირდამტვრეული მოსთქვამდა. მისი სიტყვებიდან მხოლოდ ეს მესმოდა:

— დამთვრალიც კი ყოფილა, ტანზედაც კი გამიხდია,—მაგრამ მიდღემჩი არ უცემია. ამაღამ რა ღმერთი გაუწყრა!?

მე თავი წამოვსწიე გონება მოვიკრიფე და მიხვდი, რომ ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო. თურმე ჩემ ცოლს ფრთხილად ჩემთვის ტანზე გახდა დაეწყო. მე კი სიზმარში მცარცვავდენ მეგონა.

ეს მიქნა ორმოცდა ათი ათასის მოგებამ სიზმარში, და რა დამემართებოდა ცხადში ეს თქვენ გასაჯეთ.

პ. ოთოლი.

სურ. მარიაშის



პეტრე — მოციქული (მამა ღმერთ[illegible]

— ნუ თუ ისე დავძაბუნდით,
დავხავსდით და დავსაპყარდით,
რომ დაგვახრჩვეს მყრალ ბენზინის
კვამლად დამდგარ შავი ფარდით?
კაცთა შორის აღარავინ
აღარც გვთვლის არცა ჩირად,
ეხლა აქ სურთ, ა ზეცაში
აგვაფერფლონ ცივ ნახშირად?
დასრულდა ჩვენი ამბავი,
დავბერდით, გავმასხარავდით,
მშვიდობით მღვდლებო, ბრებო
მშვიდობით აწდა მარადის!

# „მოტივი"

სურ. ო. შლინგის




„ზავი" (ჩემბერლენს): აკი მეუბნებოდი შენ, რომ მშვიდობიანობის ანგელოზი ხარო!? შენ კი თავიდან ფეხებამდი იარაღში მმოსავ!

ჩემბერლენი: ჯერ ბავში ხარ! შენ რა იცი... ეს იმი ტომ, რომ,—ხომ გაგიგონია:—თუ გინდა მშვიდობიანობა, ემზადე ომისათვის-ო.

# „პანიკა“

„საშეფო მუშაობა მოდუნდა. შეფი მხოლოდ ზაფხულობით ესტუმრება სოფელს. მათი სტუმრობა ძვირი უჯდება გლეხობას“.

გლეხკორის წერილიდან.

სურ. დონის



**ვირი:** რა ამბავია? რატომ გარბიხართ?

**შინაური ფრინველები და ცხოველები:** შეფი მოდის და თავს უნდა ვუშველოთ, თორემ ყველას შეგვჭამს!

# საუბარი

**კითხვა:** გაუმჯობესდა თუ არა თქვენი სკოლის მდგომარეობა ამ უკანასკნელ ხანებში?

**პასუხი:** საგრძნობლად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით ეს ითქმის ჩვენი სკოლის შენობის ფანჯრების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დიდი მიღწევებია. შარშან ჩვენ მთელი წელიწადი გავატარეთ ჩამტვრეულ მინებში; წელს კი ამ დარგში საგრძნობი ნაბიჯებია გადადგმული. მიღებულია ზომები მინა ჩამტვრეულ სარკმელების წინააღმდეგ და ჩვენი აზრით, ეს ნაკლიც უახლოეს წლებში იქნება გამოსწორებული.

**კითხვა:** ნუ თუ ამდენი ამბავია საჭირო სკოლების ფანჯრების ჩასადგმელად?

**პასუხი:** ო ო! ალბათ თქვენ არ იცნობთ ჩვენი ადგილობრივი აღმასკომის მდგომარეობას. მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მდგომარეობა არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს (ფანჯრის ჩადგმა) მოხდება საერთოდ სახალხო მეურნეობის და კერძოთ ადგილობრივ მრეწველობის აღორძინებასთან ერთად, როცა ჩვენს აღმასკომს დაუგროვდება საკმაო კაპიტალი ფანჯრების ჩასადგმელად.

**კითხვა:** რომელი მეთოდი გაქვთ შემოღებული სკოლაში, კომპლექსიური თუ დალტონ - პლანის?

**პასუხი:** მეთოდებს ჩვენ არასოდეს არ გაურბოდით, მაგრამ ამჟამად მას საკუთრებით დაკვრითი წესით უდგებით ამ საკითხს. საქმე იმაშია, რომ დალტონ პლანის მეთოდი კარგი მეთოდია. მას არ ჩამოუვარდება არც კომპლექსიური მეთოდი, მაგრამ საქმე ბოლოს და ბოლოს მეთოდზე ხომ არ არის? საქმე იმაშია, რომ მე (ისე როგორც მრავალი ჩემი ამხანაგები), არსებითად ძველებურათ ვასწავლით, მაგრამ ახლა ამას კომპლექსიურ და დალტონ პლანის მეთოდებს უწოდებთ. თქვენ არ იფიქროთ, რომ მე წინააღმდეგი ვარ რომელიმე ახალი მეთოდის, მაგრამ მაგარი ისა, რომ მე ხეირიანად არ ვიცნობ არც კომპლექსიურ და არც დალტონ - პლანს. არ ვიცნობ იმიტომ, რომ მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე ვერ ვეღირსე გაგზავნას და არც გვაქვს ლიტერატურა ამ ახალი მეთოდების შესახებ. მიუხედავათ ამისა, ორივე მეთოდს ჩვენ უცვლელად — ხელშეუხებლად ვატარებთ სკოლებიდან.

**კითხვა:** არის თუ არა თქვენი სკოლა მომაგრებული სახელმძღვანელოებით?

**პასუხი:** არის, როგორ არა, მაგრამ ცოტაოდენი ნაკლი გვაქვს იმ მხრივ, რომ თვით სახელმძღვანელოები არ იშოვება. მერე კიდევ, რომც იშოვო, ფულს ვერ იშოვი სახელმძღვანელობის საყიდლათ: ორ აბაზიანი წიგნი ექვს

# „მუდმივი"

სურ. მარიაშის



— მერმე იცი რა მტრედებია! დილით რომ გავყიდი ,საღამოს ისევ მოფრინდებიან,—და მეორე დღეს კიდევ ხელახლა ვყიდი.

---

ბაზად იყიდება. მიუხედავათ ამისა, სკოლაში წიგნი მაინც გვაქვს. მართალია, ბევრი მათგანი სახელმძღვანელოთ არ გამოდგება, მაგრამ ხომ იცით, წიგნი მაინც წიგნია, წასაკითხათ ყველა ვარგა.

**კითხვა:** როგორ არის მოწაფეთა თვითგანვითარების და თვითმოქმედების განვითარების საქმე?

**პასუხი:** ო ო! ამ დარგში მართლაც დიდი მიღწევებია: ჩვენს სკოლაში მოწყობილია შემდეგი წრეები: თვითგანვითარების, საერთო განვითარების, პროფწრე, ლიტწრე, სპორტწრე, პოლიტწრე, ფეხბუთწრე, კულტწრე, დრამწრე, სიმღერწრე, ეკონომწრე, ავიაქიმწრე, რემედასწრე, შრომწრე, შეფწრე და კიდევ რამოდენიმე სხვა წრე. მართალია, წრეების ეს რაოდენობა არ არის საკმარისი, მაგრამ ჩვენ კფიქრობთ, გავხსნათ სამი-ოთხი წრე.

**კითხვა:** კი მაგრამ, განა ამდენი წრეების შემდეგ მოსწავლეებს კიდევ რჩება სამეცადინო დრო?

**პასუხი:** რჩებათ, როგორ არა. თქვენ გგონიათ ისინი ამ წრეებში დადიან ან მეცადინეობენ? ეს წრეები მხოლოდ დაარსებულია: ამით ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, თორემ ისე წრისათვის ვის სცალია?

**კითხვა:** როგორ არის ხელფასის საკითხი?

**პასუხი:** (წითლდება და მორცხვად ამბობს) გმადლობთ, ისე გვარიანად.

**კითხვა:** მაინც რამდენს იღებთ თვიურად?

**პასუხი:** რატომ გინდათ გაიგოთ ყოველი საიდუმლოება!

**კითხვა:** რატომ ეს საიდუმლოება არ არის მგონი, მაინც რამდენს იღებთ?

**პასუხი:** ამბობენ, რომ მომავალში მოგვიმატებენ.

**კითხვა:** კი მაგრამ ახლა, დღეს რამდენს გაძლევენ?

**პასუხი:** გთხოვთ მასეთი კითხვებით ნუ მომმართავთ რა საჭიროა მაინცა და მაინც მტკივნეულ ადგილის შეხება. მე ვიღებ ჯამაგირს, რომელითაც ვარსებობ, მეტი რაღა გინდათ.

**კითხვა:** ჰო, თუ ასე გეძნელებათ...

**პასუხი:** არა მართლა, რატომ მეძნელება... მე ვიღებ 35 მანეთს. ამაში შედის დატვირთვაც, ნაგრუზკას რომ ეძახიან. მე ვარ ამ სკოლის გამგე, მასწავლებელი, საქმის მწარმოებელი, ზავხოზი და სხ. ამ თანამდებობისათვის მე ვიღებ ზედმეტს და ამიტომ მეძლევა 35 მანეთი.

**კითხვა:** კი მაგრამ თქვენ როგორ ასრულებთ ყველაფერს?

**პასუხი:** უნდა ავასრულო, მეტი გზა არ არის, თორომ ორს-სამ მასწავლებელს ვინ გამოგზავნის ამ მიყრუებულ სოფელში. ასეთ მივარდნილ ადგილებში რომ იმდენი მასწავლებელი გზავნონ, რამდენიც საჭიროა, მაშინ ქალაქელ სასწავლებლებს რაღა ეშველება.

**კითხვა:** მართალია... რომ ჯამაგირს გიმატებენ?

**პასუხი:** ეს ჩემზე უკეთ დავით კანდელაკმა იცის, (ისევ მორცხვათ) ყოველ შემთხვევაში, როცა თბილისში ახკალო, თუ გაახსენებთ მომატების შესახებ, დიდათ დაგიმადლებთ...

**ალლარ. ალლარხან.**

# აფსუს შარვალო

— აფსუს, რა შარვალი დავკარგე!.. არ დაიჯერებთ, ნამდვილი ტონკი მატყლის შიოტი, ანგლიჩნის საქონელი, რედკი რამე... ქვეყანა მოიარო, იმის ნაჭერს კელარსად იშოვით მაშ! ამ ზემურაზმა გიპეუმ ხომ სინსილა გაუწყო კანდრაბანტისტებს, სადღა იყიდი?

ვა, ჰამაც რა მაზალო რაშეა და! კაცს არხაინათ შენი შარვალი გაცვია კანდრაბანტათ გიშოვია, დერციკ არტუ-ბთვის შაგიკერინებია, თანაც კურაჟოფ, ბაყალ დარჩუას ქვრივს ისემეს უკეთეფ რალა—პრედლაჟენიას და პუპუ'ნ, უცბათ კი ამისთანა ჰაკარაკი სლუჩია: მოდის ის ზემურაზი და იმტოლ სტუმრებში გებნება:

— გეურქ!

— ჰამე!

— პაა, შარვალს რატომ არ იძლევი, ხომ არ გინდა სიფათში ზაგესი აგიხთო?

— რის შარვალი, რის ზაგესი, შენ თელ.ეთის ხატისგნით მოგზავნილი ხომ არა ხარ სედრაკჯან, ახა, ჰოპოპები დააბი და, აქ უცხო ხალხია, პძკენიკია, მაგისთანა ყალმაყალი როგორ იქნება მეთქი?

ბან ჩუნქეს? ვირზე შაჯდა, უჯათობა დაიწყო, აიხირა,—გინდა თუ არა, მამენტალნათ შარვალი გაიხადე, ჩემძაო. ახრიზამანში დიდი ჩხუბი პერპალოხი ჩაავდო იმტოლ ქალებში აბიდა მაჭამა, ჰამაც ლაზათიანი ტყეპაც სხვა იყო. ბოლოს მაინც შარვალი გამხადა და ამ ხალხის მახსარათ გამაკეთა. იმტოლ დედაკაცებში ცარიელ სეტკის საცვალში დამაგდო.

ვა ჩემმა მზემ, სირცხვილისგნით ჯიგარი დამეწო, ეხლა შუშანასთვის პირში ველარ შამიხედნია—პრედლაჟეხიას რალა გამაბედვინებს!..

მერე იცით რისთვის?

ვა მკითხეთ რალა, თავიდან გიამბობთ, ყველაფერი პადრობნათ ჩაგძკენჭოთ!

ჰო, იმას გებნებოდით: ეს სულ მაგ ლოუპუსტაც ფარსადანის ოინი იყო, მაგ რაზმონიკმა ჩამაგდო ასეთ სირცხვილში, ბრიაბრო და აბიდა მაგის გულისთვისა ვჭამე მააშ!

ახარ, მაგ ზემურაზს თავისი ფარსადანული შტუკა უქნია, სედრაკას დედისგნით ნათქომები წერილში მახსარულად დაუწერია და ჰუზურში აქ კი საქმე ყალ-მაყალით გათავდა! მოდი ახლა და მაგას ღმერთი სთხოვე, ძმაკაცობა და პურ-მარილზე ელაპარაკე! საქმეში ხარ?

ახ, ერთი მაგის ჯავრი ამამყარა! ვა, ლამისარი ტერორჩიკი გავხდე, რომ მაგ, ზემურაზს ლევროვი დავარტყა შიგ ქიპში, გინდ დაიჯერე, გინდა ნუ!

ბანემ ასუმ: აქ ხომა თელი ჩვენი ჰამქარი სულ სტრახის ქვეშა ჰყავს, სულ ტარტაროზში აგდებს, ჰამა თოლ აქ რაც უნდა ქნას; პუპუზ, რიმელ უეზდაშიც რომ წახვიდე, ბურნუთის კოლოფივით ცხვირწინ აგეტუზება ჰამაც თავის მახვილაკობას არც იქ მოგიშლის მააშ!

ამას წინათ სიღნაღში წავსულვარ, სუდში საქმე მქონდა, ჩემი ძველი ცოლის რაზვოდის კოპიო უნდა ამეღო. საქმეები რო მოვრჩი, ბულვარზე დავდივარ. ერთიც ვნახოთ ჩვენი მძახალი ტკიპიყარიანთ კეკელა შამხვდა: ერთი სალამ-ქალ▮ამი მოკითხვა რამე და ბოლოს მებნება:

— გეურქჯან, სწორეთ ყისმათზე შამხვდი, ქალაქში ჩემ ბიჭთან ცოტა გროშების გაგზავნა მინდა, ჰამაც ზაპისკას დავაწერინეფ და წაუღეო. ჰამაც მეკითხება—ხომ არ გინახია ჩემი ბიჭი სეგრაკა, ფინთათ ხომ არ იქცევა, რაფაკის უჩენიკია და ძველებურათ ხომ არა ანგლობსო.

— მეთქი, როგორ არა ვხედავ, ჩემს ახლო ცხოვრობს, ჰამაც ნისია ჩემი დუქნიდან მიაქვს, უჩენიკს კარგს ამობენ, თურმე მთელი სუტკა სულ წიგნებში აქვს ჩაყოფილი დინგიო, ჰამა თავში მაინც არაფერი უყრია. თანაც დიდი გორდი ვინმეა. ნისიას როცა ვთხოვ, სულ მეჩხუბება ხოლმე:

— ასმა შე გაუმაძღარო, ნუ გეშინიან, შენსას არაფერს შევირჩენ, ოღონდ ირმაგად ნუ მახდევინეფო!..

— ვებნები ლაწირაკ, ეგ არის შენი უჩენიკობა? ნისიათ წაღებული საქონელი არ იცი რო დვაინოვათ ძვირი ღირს? თქვენი ერკოპიც კი კრედიტავანიას პრაცენტებით უკეთებს ჩლენებსა და შენ ხომ ჩლენი არა ხარ მეთქი? ჰამაც რას ჯვარდები, ნათესაობა, ნათელმირონი, მძახლიშვილობა არა გწამს მეთქი? საქმეში ხარ, იმან უფრო მეჩხუბება:—ერთი როდის იქნება შენი ჯავრი ამოვიყარო, ჩერესჩურ აღრენილი ვარ შენზედაო.

- ამ ბოლო დროს ვნახე, იძახდა თუ, გამოცდების ეგზამიანია უნდა ვქნაო, ჰამა შარვალი ისე მაქვს დახეული რომ გარეთ ველარ გამოვდივარო, ერთი პაჟალუსტა, თუ დედაჩემი ნახო, უთხარი ფული გამამიგზავნოს, შარვალი უნდა ვიყიდოო. ჰამაც უთხარი ეხლა ვიდვიჟენიას მიკეთებენ და თუ საქმე კარქათ წავიდა, მაშინ ნუღარ შეგეშინდებაო.

კეკელას ძაან შეეშინდა და მებნება:

— ქა, ეგ ვიდვიჟენია რაღა დოზანაა, ი ბიჭს არაფერი დაემართოს?

მეც არ ვიცოდი რა იყო ვიდვიჟენია ჰამა ნასწავლობა გამოვიჩინე და ვებნები—

— კეკელჯან არ კი შეგეშინდეს და ვიდვიჟენია ბრმა ნაწლავის აპერაციას ნიშნავს მეთქი, თუ ვიდვიჟენია უყვეს, ზნაჩიტ მუცელს გაუჭრიან და რაც რომ ბრუტიანი კიშკები აქვს ყველას მიაჭრიან მეთქი.

ერთიც ვნახოთ ამ სიტყვებზე ვილაცამ გიჟივით არ გადიხარხარა?!. ვხედამ—ფარსადანი აგვტუზია ცხვირწინ და სიცილისგხით იფხრიწება. მერე ამობს:

— შე ყიყვიანო, ამ დედაკაცს რას ატყუეფ? ვიდვიჟენია აპერაცია კი არა, დაწინაურებაა, პავიშენიააო.

— მეთქი, მეც ეგრე უნდა მეთქვა, ჰამა სიტყვა შემეშალა!

— შე ყველაფერი გავიგონე და ჩერესჩურ გაჯავრდიო, დიდი საქმეა იმ ბიჭისთვის ერთი შარვალი მიგეცა, რომ ეგზამენიაზე წასულიყო? მაგისთვის თუ ოიხი აო გიყო, შე ფარსადანი არ ვიქნებიო.

— მერე კეკელას უთხრა: ტოტაჯან წერილს შე დაგიწერ და სედრაკასთან გაატანეო.

დაუწერა და გამამატანეს.

მერე იცით რა დაუწერია ფარსადანს? დედის ნათქომებისთვის ყური არ უგდია და წერილში თითონ ჩაუწერია:



„ამერიკა აცხადებს, რომ თუ ჟენევის (განაიარაღების) კონფერენციაზე არ იქნება მიღებული მისი წინადადებები, მაშინ იგი დასტოვებს კონფერენციას“

ხურ. მარიაშის




ჩემბერლენი: არ მომწონს მე ის სიტყვები!

„შვილო სედრაკ! ფლან და ფსტან კაცსა (ჩემზე რაღა) ვატან ოც მანეთ ფულს და ერთ კარქ გრანიცის შარვალს კანდრაბანტის შიოტია, ანგლისკი, რადგანაც გეურქას კარზინკა არა ჰქონდა და ვეოაფერ'ში ჩადო, შარვალი ზედ ჩაიცო და ისე წამოვიდა. ჰამაც ძალიან მეეწონა და თქო თუ—ამ შარვალს სედრაკას აღარ შავსცემო, ნ...იაში დაუჭერო! შვილოჯან, სიყმეში გენაცვალე, არ დაინებო მაგ ყიყვიანსა, შაიძლება გითხრას თუ შარვალი ჩემიაო, არ დაუჯერო, ძალით გახადე და ჩაიცვი. ჰამაც შენზე ფინთი რამეები თქო და ერთი ჯიგრიანათ მიტყეპე, ჯავრი ამაიყარე. აბა შენ იცი, როგორც მოიქცევი, როცა ჟილვიჟებია ჰქნა, შამატყობინე. შენი დედა ცეკელა“.

ჩამოუტანე ეს წერილი სედრაკას და იმავე ნიმუტში წაული—გადავეცი. გახსნა წაიკითხა, გაუხარდა, შამამხედა და მეზნეზა:—გეურქჯან ეგ არის შიოტის შარვალი?

— ჰო, ეს არის!

მოვიდა მერე ხელით ნახა და იძახის:—აფერუი, ჩემა მზემ, კარქი ნაჭერიაო, ძაან მიხარიანო. ბოლოს მეზნება:

— აი, აქ, კარებს უკან მიდექი და გაიხადეო!

— მეთქი რა ვქნა?

— შარვალი გაიხადეო რაღა, სხვა და უნდა ჰქნაო, შაშ არ იცი რომ ისე არ გაგიშვეფო?

მე გული გამისქდა და ვეზნები:

— სედრაკ, ინჩ-ხაბარა, შენ მწყრები ხო არ გიქრიან, შარვალი გავიხადო, აქ მირზოევის აბანო ხომ არ არის? მაგისთანა ნეპრილიჩნ რამეებს რათ მეზნები მეთქი?.. გაჯავრდა,

— ახში უნდა მეცეშინო რაღა, ისე არ იძლევიო!., ბოლოს ერთი მაგარი პრისტაულიც გამიმალა—და ოთახში შევარდა, ზეზუთი უნდა გამოვიტანო და დაგარტყაო!

მე შეშინებული გავქცუნდი და საღამომდის სახლში ჩაკეტილი ვიჯექი... საღამოზე კი ჰაკარაკათ დარჩუას ქვრივმა პიკნიკზე ოამპატიჯა და იქ წაველი...

ოინიც იქ მოხდა ჰაა!.. თურმე ამ ზემურაზ სედრაკას მთელ დღეს უძებნივარ, ბოლოს გაუგია, სადაც ვიყავი და იქ მამივარდა... იქ კი, როგორც თავიდანვე გითხარით, დიდი მიაბრო მიყო, მცემა და ჰამაც ამ დედაკაცებში შარვალი ჩამაძრო...

უჩაშკის კამისარიატში ეგრე ტიტლიკანა გავიქეცი, ვიჩივლე, ჰამა ჩივილმაც არაფერი ქნა, სედრაკა დაიბარეს და იმან წერილი აჩვენა:—შარვალი ჩემია და მაგან პრისვენიას უშვებოდაო... გამამტყუნეს. შარვალი იმას დარჩა ჰამა ოკრუჟნი სუდში საჩივარი შამიტანია საქმის გარჩევას უცდი... უცდი მაგრამ რა გამოვიდა? ხომ იცი, როგორ ზანტი და ზაზანა უჩრეჟდენიაა ეს სუდი: შაიტანს ქაღალდს, უცდი, ივლი, ქვეყანას შეაწუხებ და იმტოლხანს გაცდევინებენ, რომ შენვე დაგავიწყდება რაზედა სჩიოდი!

ჰუზურში ეხლაც ასე იქნება რაღა, სანამ სუდია ჩემ საჩივარს გაარჩევს მანამდისის ის ზუმერაზი სედრაკა ჩემ შარვალს გასცვეთამს და რაღას მარგებს ვახშმის შემდეგ ჰამა? აფსუს ჩემო შარვალო!..

ჰამა ერთი რამე კი ნეპრემენია, მაგ ზემურაზ ფარსადანის ოხტში ამოვალ, ლევროვს ვიყიდი, ტერორს დავარტყამ, ამტოლი მოთმინებაც გვეყო!

ფარსადან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ექიმი:** ციებისაგან კუჭი გაქვს გამხმარი...
**ავადმყოფი:** ვაჰ! ამდენ ღვინოს ვსვამ და ის ოხერი კიდევ გახმა!?

# დისპანსერში

— თუ შეიძლება ჩემი ბიულეტენი მიიღეთ ჯერ.
— მითომ რისთვისო?!
— იმისთვისაო, რომ მე პირველი ვდგევარ ჯერში.
— ეგ არაფერსა ნიშნავს, თქვენ სახეზე არავითარი ჭლექი არ გეტყობათ, ჭარხალივითა ხართ დაწითლებული.
— ეგ იმიტომ, რომა დღეს პირველადა ვარ თქვენს ოჩერედში და ეს ბიულეტენი ჩემი არ არის: ამის პატრონი აგერა იქ ასვენია სკამზე.
— მით უმეტეს: იმან იქ მოისვენოს და თქვენც არა გიჭირთ-რა: შესძლებთ მოცდას.
მოქალაქე გაჩუმდა. განზე გადგა და გულხელდაკრეფილმა დაუწყო ცდა ჯერის გათავებას.
ჯერი არამც თუ თავდება, მხოლოდ დიდდებოდა, რადგანაც ემატებოდა ხალხი, ბიულეტენების მიმღები კი ბიულეტენს არ იღებდა.
— ბარიშნა!—ეძახოდნენ აქათ-იქიდან: ბარიშნა, ჩემი მიიღეთ.
— ოჩერედში დადექით, ოჩერედში—იძახდა „ბარიშნა".
— აკი ვდგევართ, ბატონო, დილას აქეთია ვდგევართ!
— ჰო და იდექით—ემ საათში.
„ბარიშნამ" რაღაცა წიგნები გადაშალა, მერე უცბად რაღაცა მოაგონდა და წავიდა. ერთი საათის შემდეგ მოვიდა. ხალხმა ისევ შეჰღნავლ
— ბარიშნა!
— ემსაათში!—გააჩუმა „ბარიშნამ" და...
— კოწი, პაპიროსი ხომ არა გაქვს?
— ინებეთ!—გაუწოდა კოწიამ.
ბარიშნამ კარგა ხანს სრისა ხელში პაპიროსი, შემდეგ უეცრად მოაგონდა, რომ ასანთი არა ჰქონდა. მიიხედა, აღარც კოწია იდგა იქა და წავიდა მის საძებნელად...
— ოჰხ, ბარიშნა,—ამოიოხრა ხალხმა და დაიწყო უკმაყოფილო ყაყანი. შემოვიდა ისევ ბარიშნა.
— მოვკვდით, ბარიშნა, მოვკვდით.—ამოიკვნესეს ნაზად ჭლექიანებმა.
— ემსაათში!—დაიძახა ბარიშნამ.
— ძაან გრძელი ყოფილა თქვენი „ემსაათში" ბარიშნა—შენიშნა მოქალაქემ.
— თქვენ ჭკვიანადა ბრძანდებოდეთ:—შეუტია მოქალაქეს.
მოქალაქემ იგრძნო გადამეტერება, და, რადგანაც დაინახა, რომ ჯერს იგი ველარასოდეს ვერ მოესწრებოდა, წავიდა ააყენა ჭლექიანი, მიიყვანა „ოჩერედში" და ბოძივით შეუდგა მხრებში, რომ არ წაქცეულიყო.
„ბარიშნამ" ერთი ავადმყოფი მიიღო.
ხალხს გაეხარდა. აჟივჟივდა.
მაგრამ ბარიშნას უცბად პაპიროსი გაუქრა და კიდევ ნთისათვის წავიდა სადღაც.
გაისმა ისევ კვნესა. საყვედურები გინება.

. . . . .

როგორც იყო „ბარიშნა" ისევ გამოჩნდა; დაიწყო სალხის მიღება და, როცა ჩვენმა ჭარხალად წოდებულმა მოქალაქემ წარადგინა თავისი ჭლექიანი. „ბარიშნამ" გაიკვირა:
— თქვენ ვინა ბრძანდებით?
— ამ ჭლექიანის მოძყვანი.
ბარიშნამ ჩაწერა ჭლექიანი.
— მეც ჩამწერეთ, „ბარიშნა", აი.
— თქვენ რაღად?
— იმად, რომ თქვენთან „ოჩერედში" დგომამ და ლოდინმა მეც დამაჭლექა.

ფეშანგი ფაშვიბერტყაძე

# „კამპანია“

არა, კამპანიე კი გამიგონია და ბევრჯელაც ვყოფილვარ კამპანიაში, და ქეიფში, მარა, ამდენი კამპანიე. რაც ამ ბარშენიკებმა მეიგონეს, აღარ გამიგონია! დედავ, ოჯო, გინახავს კაცს აი გუთავებელი კამპანიები? ერთს გაათავებენ, მიორეს დეიწყებენ, მიორეს რომ ყუყზე მიიყვანებენ, მესამეს შუდგებიან... ერთი სიტყვით, გავთავდი კაცი ამდენი კამპანიეთ.

თავიდან რომ დევიწყო, სათ გამახსენდება, მარა რაცხა პაწე ქე მახსოვს მაგ კამპანიების ამბავი. აგერ მოგიყობი:

თლა პირველათ არ მახსოვს რეის კამპანიე გადაგვახთიეს, მარა აგერ ბარე სამი წელიწადი იქნება წერა-კითხვის უცოდინარობის საწინააღმდეგო კამპანიე დეიწყეს. იძახოდენ:—უნდა მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარი ხალხიო. ვიფიქრე: დევიღუპე კაკალი კაცი; მართალია ამ ჩვენ გურიაში ბევრი არაა უცოდინარი, მარა რაცხაა, იგენს რაიზა გვსპობენ მეთქინ. სამოცი წლის ყაყვი ბერიკაცი ქე გახლავარ, თავიდან არ უსტავლებიენ და ახლა ამიზა რავა უნდა მოსპონ მეთქი. ჯანდაბას ჩემი თავი, მარა ჩემმა მარიკელამაც ინჩი-ბინჩი არ იცის და იმასაც ზეთ მიაყოლებდენ მეგონა. თურმე საქმე სხვანაირათ ყოფილა; იმას ქე იძახოდენ უცოდინარები უნდა მოვსპოთო, მარა თურმე აი მოსპობა იმაში გამეიხატება, რომე წერა-კითხვას გასტავლიენ. ვიარეთ მე და მარიკელამ ერთ სამ თვეს კლასში და გამივედით ხუდენტები.

აი კამპანია ჩავათავეთ თუ არა, გავარდა ხმაი: სასოფლო-სამეურნეო გადასახდის კამპანიე იწყებაო! ვაი, ვიფიქრე, ჩემ მტერს ამისთანა ამბავი, გადასახადი თუ შემაწერეს რაღა კამპანიის ხასიათზე ვიქნები მეთქინ. ააშენა ღმერთმა რაცხა ხუთი კაკალი მანათი შემაწერეს, ერთი ტილიანი გოჭი გავყიდე და გადავიხადე.

გგონიენ, რომ ამით გათავდა საქმე? თქვენ არ მომიკტეთ! პაწა ხანს მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, დეიწყო აკახომიეს რეჟიმის კამპანიობა, ეკანომიე კი ვიცი, მარა აი რეჟიმი რაღა ეშმაკია, იგი ველარ მივხთი. ერთი სიტყვით, პაწე ჭამეთ, პაწე სვით, ერთი-ორი კაპეიკი შამეინახეთ და ბანკში შამეიტანეთო. მივადექით და უყარეთ თავი თითო ორ შაურს მე და მარიკელამ შევაგროვეთ კაი ოცი მანათი და გამოვკოჭეთ პერანგის ატხანაკის ნახევარში. არ შეგჭამა ჭირმა! რაცხა ეშმაკათ, ჩემმა ციცამ ელპიტიამ (გეძლაზიაში სტავლობს ოზრუგეთში) ატხანაკი გოგუები და ბიჭები ჩამეიყვანა. დავფაცურდი, დავბზიალდი, იქით ვეცი, აქეთ ვეცი, თავი არ შევირცხვინე, კამპანიე გავაჩაღე და იმ ოც მანათს ნასესხები ოცი მანათიც დუუმატე. ქე შამომეხარჯა ამდენი ხნის შენახული, აი მიქნა რეჟიმ ეკონომიამ. მე მგონია, რომე ეკონომიე ასე არ დამღუპავდა, იმ შეჩვენებულმა რეჟიმმა მიქნა აი საჯაყი საქმე.

ამას მერე ჩემო ბატონო, დეიწყო ხულიგნობის კამპანიე. ვიფიქრე, გლახათაა საქმე, რაც ჩვენში ხულიგანი და წამხთარი ხალხია, იგენმა თუ კამპანიე ქნა, ვინ უუთავდება მეთქინ. თურმე აგენის კამპანიე სხვაფერ ყოფილა: რაც ხულიგნები იყო ყველაყაი დაკოჭეს და ატკუცვიეს თავი ციხეში. მართალია ბეური ქე გადარჩა, მარა კამპანიათ კამპანიე არაკაცს არ უქნია. ალბათ ვერ გაბედეს.

ახლა რაღა გაწუხებსო მკითხავთ.

შეწუხებით აფერი ბატონო, მარა კიდომ კამპანიე დეიწყო და ამან მომკლა კაცი. ახლა თუ კიდომ კამპანია მომიწევდა აგი აღარ ყოფილა ჩემ გულში. დეიწყო ბატონო, მარა რა დეიწყო: ფასების დაკლების კამპანიე დეიწყო, უკლებენ და უკლებენ ფასების მისი ჭკუით. მერე მაგას რაღა კამპანიე უნდოდა? უწინ მახსოვს, იარმუკობაში გევიდოდით, ურიას რამდენიც გინდა იმდენი საქონელი ქონდა, დაგიფასებდა ათ შაურს და მოგცემდა სამ შაურათ. შვიდ შაურს უკლებდა.

ახლა? ახლაც დაუკლებენ. შეხვალ კომპერანტიაში, ნახავ ჩითს, ღირს სამი აბაზი, რაც უნდა ევაჭრო კაპეიკს არ დაგიკლებს, მაინც დაკლებულიაო. სამ აბაზათ რომ ყიდდენ, იმას თერთმეტ შაურათ ყიდიან. მაგია დაკლება? თუ უკლეფ დუუკელი ნახევარი, ათშაურიანი ხუთშაურათ მომეცი, თვარა ქალბაღანამ გამაწყალა კაცი: ფასების დაკლებულიო მარიკამ რომ გეიგო, მიაყიდა ერთი სამაკინელი დეკნა ეგდო შინ, ეილო თუთხმეტი მანათი, წამათრია ბაზარში და ვივაჭრეთ: ამ დეკნის ფასათ ერთი ჩითის საკაბე თვითონ იყიდა, ერთი უმფროს ციცას უყიდა, ერთი უნცროსს, ერთიც უნცროსის უნცროსს, ერთი ბლუზეც უმფროს ბიჭს და ერთი საკაბალახე მე მომართუა.

აგია ფასების დაკლების კამპანიე?

ყორიფელი ყორიფელია, მარა ერთი რამე ვერ გევიგე: ყორიფელზე რომ კამპანიას შობიენ და ქეიფობენ, აი ბარშენიკები, სად აქვენ ამდენი ფული? ბიჭო, სამ კაცს რომ დუუძახო და პაწე წეიკამპანიო, ცალი ხარის ფასი არ გეყოფა და მაგენი რომ თელ დუნიაზე კამპანიებს აწყობენ, სათ შონილობენ ამ საკამპანიო ფულს?..

**ტერსიტი**

# „ხმა“

სურ. **დონის**



— შენ კარგი ხმა გაქვს, და რატომ ოპერაში არ მიდიხართ ჩასაწერად?

— რა გითხრა, ძმაო! ხმა რომ მქონოდა, არჩევნებში მონაწილეობას მიმალებინებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დიდი ჯიხაიში**

ცეცხლსავით ელავს პაპანაქება,—
სად შევაფარო სიგრილეს თავი,
რომ არ გამაძროს ივლისის მზემა
ამ ჩემს „ფუნთრუშა“ სახეზე ტყავი.

მირჩიეს ყველამ, რომ მივაშურო
და თან შევაღო ქსენონის კარი.
იქ წვიმისაგან ყოველთვის გრილა,
(ბახმაროს არის ის შესადარი)

მსურს აფთიაქიც რომ ვინახულო,
თუ ვიპოვე იქ ქინაქინა...
და თუ არა და,—უნდა გავიგო,
სევერიანე რამ მიაძინა.

მერმედ შევივლი მე ალმასკომში,
იქნებ იქ ვპოვო აგრო-სექცია.
რომ არსებობა მის ამა ქვეყნად
თუ არ ყოფილა მარტო ფიქცია.

ასე ჩივიან „ბოროტ ენები“:
გახშირდა ყიდვა მამულებისო;
მაგრამ ყველანი განგებ თვალს ხუჭავს
რადგან საქმეა ძმა-ბიჭობისო.

ალმასკომიდან დავლუნე თავი,
გამოვიარე იქვე ბაზარში,
სადაც მომესმა „ყურის წარმტაცი“,
„იაპონიურ“ ღორების მარში.

— ნეტავ ვისია ეს ღორთა ჯარი?—
ვკითხე, მე იქვე ერთ მოქალაქეს.
— კოპერატივის, კერძო ვაჭრების,—
მიპასუხეს და თანაც შეაქეს...

შეაქეს მისთვის, რომ მოაძრავლეს
ღორები ბაზრად ჯიშიანები,
რადგანაც მინდვრად ვერ გაუშვებენ
დათესილია ყველგან ყანები.

კომისიაც კი (სანიტარული),
თურმე ამისთვის ხუჭავს თვალებსო,
რომ ეს ღორები არ ჰყავდეს ბაზარს,
რა ეშველება მაშინ თვალებსო.

ხვლიკი.

## „იშვიათი მკვლელობა“.

### სადგ. ნატანები.

1923 წელი ნატანების ისტორიაში ცნობილია „თალაკვაძის ხანა“-თ. ამ წელში გასწყვიტეს ნატანებში ყველა ძაღლები. ძაღლების წინააღმდეგ მებრძოლ კომისიაში შედიოდენ საგანგებოთ ამორჩეულნი მილიციონერები, რომლებიც შეიარაღებული იყვენ: კეტებით, ჭადში ჩამალულ ნემსებით და სხვა საწამლავებით. მუშაობა ნაყოფიერი დარჩა და ერთი კვირის განმავლობაში მთელი ნატანების მიდამო აავროლეს დახოცილ ძაღლთა ლეშებით..

როგორც იქნა, ეს გაჭირვება გადაიტანეს აქაურ ძაღლებმა, რადგან მათ ოცდა სამი წლიდან არავინ აწუხებდა. ამ ხნის განმავლობაში ძაღლებმა სული მოითქვეს და საკმაოდ გამრავლდენ. ძაღლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდათ და აღტაცებულნი თამამად იტაცებდენ ბაზარში ყველს, ხორცს, ქათამს და სხვა. აგრეთვე ქალებსაც და ბავშვებსაც გაეხუმრებოდენ კბენით.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა მათი ბედნიერება. ამა წლის მაისის თვეში ძაღლების საკითხი კრებაზე იქნა დასმული. კრებამ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც უმაღლესი სასჯელით (სოციალური დაცვისა) უნდა დასჯილიყვენ ძაღლები. ძაღლების ამოწყვეტა მიანდვეს სიმონს (ბაზრის თავია) და ანდროს; ამ უკანასკნელმა ითავა მხოლოდ დასამარხ ორმოების ამოღება და დახოცილ ძაღლთა რეგისტრაციაში გატარება. სიმონმა კი—ქიმიურ წამლის დამზადება და ძაღლების მოწამვლა.

რამდენიმე დღის განმავლობაში მოწამლეს და მოჰკლეს ოცი ძაღლი. ამ ამბავმა პანიკა გამოიწვია ძაღლებში. განიზრახეს თავდასხმა მოეწყოთ სიმონზე და ანდროზე, მაგრამ შეთქმულების მეთაურნი მოწამლეს და დაიხოცენ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა რვა ძაღლი; უკვე სასიკვდილოდ გამზადებულნი არიან ათი მოწამლული ძაღლი. აგრეთვე არაფერი ისმის ორი ფინიას შესახებ.

ანდროს აღრიცხვაზე ჰყავს აყვანილი მიხაკოს, სამსონის, სერგოს, ვასოს, დიმიტრის ძაღლები და კასიანეს ფინია.

მუშაობა ისე ნაყოფიერია, რომ დახოცილ ძაღლთა დასაფლავებას ვერ უთავდებიან. ამიტომ საზარელი სუნი სდგას. გამვლელ-გამომვლელები ცხვირზე ხელს იჭერენ და ასე უკურთხებენ:

— შენს მკვლელს შენი ჭლიკები (ფეხები).

ზღვისპირელი.

**ბათომის ქრონიკა**

დიდი ხანია ბათომის ქუჩებს
არ მოსვენია ეს ჩემი ცოცხი.
აივსო უკვე მოგარაკეხით:
მახინჯაური და მწვანე კონცხი.

სუყველა იქით მიეშურება,—
ავსებულია ეტლი და ავტო...
დათიკომ ცოლი სახლში დატოვა,
იქ წაიყვანა ნინა და კატო.

ფასების დაკლების კომპანიებიც
დიდი ხანია ჩატარდა აქაც;
ძველ „მოსაგებზე“ კიდევ მუშკოპმა
ზედ დაამატა აგი ბარაქაც...

თუმც, მართალია, გამოიცვალა
ფასის დაკლებით ღირსება ჩითის,—
მაგრამ რა გინდათ აქ არ იშოვოთ,—
თუნდ მოითხოვეთ ტკბილი რძე ჩიტის!

შეთხელდა ძალზე რესტორანები
და ჩამოვარდა სიაფე ფულის.
სამაგიეროთ: ყოველ დუქანში
გაიხსნა უკვე სავაჭრო ლუდის.

ყოველ ნაბიჯზე დგას გასაყიდი;
მაზედ „ნალოგი“ ცოტა არისო,
(თუმცა მოგებაც კი არ აქვთ დიდი).
ზოგს ცოლის ნაცვლად აყვანილი ჰყავს

ქალი ლამაზი, შეღებილ ტუჩით;
ვისაც არა ჰყავს, ის კი ყოველ ღამ,
დაჩეტიალობს ლენინის ქუჩით.
ეს ქუჩა სჭარბობს თავის სიდიდით

ბათომის თითქმის ყველა სხვა ქუჩებს.
ყველა აქ ეძებს თავის მეგობარს,
ყველა იქ ჰპოვებს შეღებილ ტუჩებს...
სხვაგან კი სუფევს სიმშვიდე სრული,
აქა-იქ მხოლოდ დადის ბაცანა,
ვერავინ გაიგო აძის მიზეზი,
ვერავინ ამოხსნა ეს ამოცანა.

ბლიკვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვანი

იქნებ იფიქრე ტარტაროზ,
რომ დაგივიწყე ძამია!
(მაშინ მე ნამუშევარი
ტრაქტორის არ მიჭამია!)
ვანში არ ვიყავ, ტარტაროზ,
ვზვერავდი სულ სხვა მხარესა,
და ვანის კუდა-მელებმა
მით ძალზე გაიხარესა.
„კუპეცებივით“ დადიან
ცხვირ აწეული პრანჭვითა;
ვისაც სალამი მივეცი
ტუჩი ასწია მანჭვითა.
**ალმასკომის** ცხენს საბრალოს
ძირს ჩამოეშვა ქვიქვირი;
სტიროდა ლონე-მიხდილი,
აღარ შეეძლო ხვიხვინი.
მიზეზი ვკითხე ვაების;
ტუჩი მომადო სტვირზედა;
მიამბრა, რომ მიშა არ იქნა
ვერ მოვიცალე ზრუგზედა.
სულ ზურგზედა მყავს შემჯდარი,
შინ მიდის ის, თუ გარეთა;
არ მაშორებენ უნაგირს,
და მიტომ ვსტირი მწარეთა.
**სამდივნოსაკენ** გავსწიე—
თამარა უნდა მენახა,
რომ ჩემი გროში უილბლო
წოეცა გამოენახა.
მითხრა: „ორასი გვმართებს და
შენ კი ვინ მოგცემს რვასაო,—
და აწი მაინც ამისთვის
ნუ შეიწუხებთ თავსაო!
**მიწა-ტყის** კავშირს ვესტუმრე,
ვნახე ლადიკო სვიანი.
ცოტას „რაღაცას“ თაღლითობს,
პასუხიც იცის გვიანი.

—:—

**ტარტაროზ,** ერთი გამიგე
ჭირიმე შენი კუდისა;
ეს ბეხუ რატომ მემდურის,
ნუ თუ მქნელი ვარ ცუდისა?
ხმასაც აღარ მცემს საწყალსა,
ჯავრით მისქდება გულია,
და შემარიგო იქნება—
ბანკიდან მინდა ფულია!

—:—

**ვისმეზე** თუ რამ დასწერე,
შენიშნე რამე ცუდია,—
სულ ყველა წამოგესევა,
როგორც ჩხიკვების გუნდია!
პაშაც ხომ დატრიალდება,
უწყებებს გასცემს ხელათა.
ყველაფერში რომ ფათურობს,—
ბო აეკიდოს ბელასა!

**ტოზანიერისათვის**

არ შეგშვენის ჩემო სტვირო,
შენ დუმილი ამდენ ხანსა;
არც ის ვარგა—ჩააცივდე;
უღიღინო მუდამ ვანსა!
შენი ნაზი, ტკბილი ჰანგი
უნდა ერგოს ახალა სხვასა...
ტოზანიერს მივუმღეროთ,
ყურური რომ უხვად რწყავსა.
**ზიკტორმა** რომ დაიფიცა,—
„ცენტრში“ ღვინოს აღარ სვამსა;
ცენტრის გარეთ თუ დათვრება,—
ეგ რა ვუყოთ, ფიცი გვწამსა.
ხამდვილ მტკიცე ნების კაცი
მარტო ერთი იგი გვყავსა,—
თორემ საქმეს უმისოთ
მოაბამდა ვერვინ თავსა.
ვერვის ასწერს, ტარტაროზო,
ძველი საბჭოს ნაამაგსა;
რა არ გაუკეთებია,
ძალად სიმძიმე უდევს თავსა.
გზები ისე ნაკეთები,
ურემს გაატანს რაში ლაფსა;
ბოგირებზე ხარ-კამეჩი
ხან ცხვირს იტეხს და ხან რქასა.
**რევიზიას** ალმასკომში
დაუთვლია ყველა გროში;
დახვდა „შვიდი კაპეიკი“
ტუსაღებათ სალაროში!
**წარმოკავშირს** უშრომია
და ულევია ოფლი დღემდის,
ძველი მოგება ყოფნიათ.
„საციცქნავად“ მარტის თვემდის.
ახლა ბანკი მოეშველა,
და წამოწევს ალბად წელში,
თუ ეს არა,—მაისამდი
შერჩებოდათ ჩოთქი ხელში!
**შვიდწლედს** მართლა კი ემჩნევა,
მზრუნველობის დიდი დაღი:
იატაკს ქვეშ მორთულია
ზოოლოგიური ბაღი:
გველი, ხვლიკი, მორიელი,
შიგ ჰაერი მეტად საღი...
პროკლეს ახალ შენობაზე
ოცნება აქვს მეტად ლაღი!
**„ეპოშიაც“** რომ ყოფილა
ძაღლის თავი დამარხული;
ტყეფდა და აჭაჭყანდა,
შეუწუხა ყველას გული.
„რევიზიას“ თუ ჰქონია
ორ წელიწადს თხილის ფული,—
ეგ რა უყოთ, სჭიროდა და
მოიბრუნა ამით ხელი!
გულწრფელობა და უნარი;
მაშინა სთქვა, როცა თვითონ
ამოუსვეს ლვალო, ნარი...
დაიმშვიდოს ყველამ გული,
აწი ხშირად გეახლებით.
სტვირ ამოღლიავებული!

**კვინტაძე**

## გამოცანა

**(ამაღლება)**

ჯერ გლეხკომში მსახურობდა,
დიდიც არის მისი ღვაწლი;
სიმინდები, რომ შეჭამა—
უკანკალებს მერმე ლაწვი.
ანგარიშის ჩაბნევისთვის
პანღური ჰკრეს კუდუსუნზე.
კულტსექციის გამგეობამ
წამოუსწრო იმას სულზე.
აქაც ცოტა ქაფი ნახა—
წარმოდგენის იყო ფული,
გაქაფვაზე დაჩვეულმა
გაიტანა ერთხანს სული.
„კარტოჟნიკი-“ ძველი სპეცი
რომ „ჩითავდა“ ხშირათ ტყეში,
ეხლა ნახა საზუდარი
ალექსანდრეს დუქნის ხვრელში.
ერთხანს სდუმდა, მაგრამ დიდხანს
არ შეეძლო დაისვენა,
და ახლა ჩვენ სკოლის გამგეს
ძველი წესი გაეხსენა.
მგონი ამის ამოცნობა
არ იქნება დიდათ ძნელი,
თუ გსურთ სწრაფათ გაიგოთ,—
„ბუიე-“ა მეტსახელი.

**„მესტვირე“.**

## სამტრედია

ვესტუმროთ შრომის ოთხწლედსა
და ვნახოთ ასათიანი;
პედაგოგია სულ ძველი,
ცემაში ლაზათიანი.
შემდეგ კი მოვინახულოთ,
იქვე საბავშვო ბაღია;
ბავშვებს რომ წყალის ზიდვისგან
გულს დაწინევია დაღია.
ქოხ-სამკითხველოს კარებიც
მუდამ დღე დახურულია;
არავინა ჰყავს პატრონი,
არავის ეწვის გულია.
ბორანსაც თუ ვინახულებთ,
სადაც მგზავრობა ხშირია,—
ნაპირზე გადასვლისათვის
სამი საათი გჭირია.
იქვე ახლო ვარ ლასის
სასადილო და დუქანი;
პატენტი არ კი სჭირდება
და მიტომ გახდა მსუქანი.
სხვებიც მრავალი არიან.
ძირ-ფესვში მოსათხარია;
სატარტაროზო მათ გარდა
სხვაც ბევრი ნაკლი შეგხვდებათ

**ჭრიჭინა.**

## სუფსის სახალხო სახლს

**იმედ გაწყვეტილი ჰიმნი**

შე უბედურ დღეს შობილო,
სიდიდით ათსაჟენიანო,
საშველი აღარ გადგება,
დღეები კი მირბიანო.
ერთხელ აგიგეს კედლები,
შე უბედურო დღიანო;
მას შემდეგ დგეხარ და ლპები
თეატრო-გლეხკლუბიანო.
შენს დასრულებას არ უჩანს
დასაბამ-დასასრულიო.
შენ დაგტირიან გლეხები,
ყველას უკვდება გულიო.
არც ალმასკომმა გიშველა,
გლეხკომსაც დაეძინაო;
ინგრევი და ნადგურდები,—
აბა, ხომ არ ხარ რკინაო.
გადაგყვენ... ბევრი შეგწირეს
ფული თუ ძელის ნაჭერი;
ჯერ სახურავი დაგენგრა,
მერმე კედელი და ჭერი.
დგეხარ და ლპები მინდორზე,
მოწყენით გაიყურები...
იქ კი საბჭოში კრებაზე
გამოგვიჭედეს ყურები.

**დიოგან-დუნელი.**

# ჯოჯოხეთის კუთხე



## გამოსარკვევი საკითხი



თქვენ იცით რა უკვირთ და რაზე ფიქრობენ ესენი? (ხომ იცნობთ? ესენი გახლავთ საგარეჯოს 9 წლ. შრ. სკოლის აგრონომები: ანდრო მაისურაძე და იაშა ანუაშვილი). თქვენ გგონიათ, იმაზე ფიქრობენ, თუ

**— რატომ ათი ათას დაყვნილ ვაზიდან მხოლოდ ორმა იხეირა?**

ან და თქვენ გგონიათ მაისურაძე იგონებს წარსულიდან:

**— საფრანგეთში მივიღე უმაღლესი ცოდნა... როცა ბათომს მოუახლოვდი, სადღაც ატესტატი დამეკარგა..**

ი. ანუაშვილი: კი:**—მეც გავათავე უმაღლესი ყირიმში: თეორია უფრო მეხერხება, ვიდრე პრაქტიკა..**

არაფერი ამის მსგავსი. ესენი ფიქრობენ და უკვირთ, თუ:

**— რაში ვილებთ ჯამაგირს!? მახლას! რა დრო არის! ვინ არის პატრონი, თორემ...** (თორემ რაც იქნება შემდეგ შეგვატყობინებს **„ვერ მიცანი“).**

## „ულაპია“

### იფ! იფ! ახლა კარგად არის საქმე!

აქ არაფერი არ არის სასაცილო. ჩვენ ვიცით, რომ მამა-კაცის ორსულობა არ შეიძლება. და თუ მუცელზე ასე გამობერილია, ეს იმიტომ, რომ... არა, თქვენ გგონიათ ბევრი (ახალი) ლობიო სჭამა და იმან წამობერა მუცელზე?! არა... მაგრამ თქვენ იცით ვინ არის ამ სურათზე გამოხატული? ბევრმა იცანით, მაგრამ სხვებსაც გავაცნობთ: ეს გახლავთსად. **ვაზიანის უფროსი ლ. აბესაძე.**

რა მოუვიდა ამ კაცს, არც ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ, თუ **პანღურს** დავუჯერებთ, საქმე შემდეგშია: ამ კაცს გადაუყლაპავს: სადგური, ფოსტის განყოფილება, სალარო, ობსერვატორია და ხინკალას ბუფეტი.

ჰო-და, თუ კი ასე არის, არც თქვენ არ უნდა გაგვიკვირდესთ მისი მუცელზე გაბერვა.

რა თქმა უნდა ძალიან სახიფათოა გადატანა და ამდენის მონელება, მაგრამ გადაიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევიზიამ არ მოუსწრო.

## „მოლვაწე“

**საგარეჯოდან** (გარე - კახეთი) **უზუნი** გვატყობინებს: **ყოფილმა ფოფოდიამ — ეხლანდელმა მასწავლებელმა ქალმა ანიომ თავისი ქმრის სხსოვნის აღსანიშნავად ააგო რადიო - ჭორის სადგური, რომელიც „ამბებს“ ავრცელებს მთელს რაიონში, ახლო ხანში ჩვეულებისამებრ თამადობის და ქეიფობის დროს ანიო იმღერებს და მთელ მსოფლიოს გადაეცემა მისი სიმღერა:**

**უნდა ვსჭამო ქვეყანა,**
**სხვა ის რამე როდია!**
**ჭამა მიყვარს, რადგანაც**
**ვიყავი ფოფოდია...**

**მაგრამ რადგანაც სიმღერისათვის საჭიროა ხმის გაწმენდა, ხოლო ამისათვის კი — კვერცხები, — ამიტომ მუსრს ავლებს კვერცხებს საბუდარზე.**

**გლეხობაში პროპაგანდას ეწევა·**
**გრწამდეთ: ძველი ადათი.**
**გიცხონდებათ კვდრის სული,**
**ქელეხი და ღმერთია...**
**თუ გამაძღე ერთია.**

რას ერჩით! ძაფია. სწორედ, რომ ფასის დაკლება გაუტარებია. აბა ვის გაუგონია, რომ მიცვალებულის სულს ერთ გაძლომათ აცხონებდეს ვინმე!? ნუ აცდენთ— გაანთავისუფლეთ მასწავლებლობიდან და უფრო შეეძლება მიცვალებულთა ცხონება.

## თოხარიკი



აი ეს ბედაური (თოხარიკი) ცხენი თუ არ მიუყვანეთ ლანჩხუთელ ექიმს, ისე ფეხს არ გადაადგამს. ჩიბათში (იხ. „ტარტაროზი“-ს არქივში **გაეშმაკებულის წერილი).** საქმეც ისაა, რომ სხვა ცხენზე არ შეჯდება, თუ თოხარიკი არ არის.

**„სხვა ცხენზე მე არ შევჯდები,—**
**მომგვარეთ თოხარიკია“...*)**

თქვენ იტყვით, რომ — ნუ წამოვა; ჩიბათს თავისი საექიმო პუნქტი აქვსო!

მართალია — აქვს... მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ ექიმი არა ჰყავს; ხოლო საექიმო პუნქტის ფერშალის მიერ გამოწერილ რეცეპტს, აფთიაქში არ ღებულობენ: **წამლის სახელები არ იცის და არავინ მოწამლოსო.**

რას ერჩით იფთიაქს... სიფრთხილეს თავი არ სტკივა. თუმცაღა მას კი სტკივებია, ვისაც ეს ეხება და ჯერ-ჯერობით კიდევ ყურადღება არ მიუქცევია ამ გარემოებისათვის.

---

*) უფრთხილდი თორემ იცოდე,
აგეწვის კუდის რიკია!)

ტ.

# ცნობათა მიღება



**ჰინჭრაქას.** (მცხეთა, ზაჰესის პირველი უბანი): თქვენი წერილი: **„ვალიკო აწეულიძე“** ჩვენ ნეკროლოგი (სამგლოვიარო წერილი) გვეგონა და სატირლად ვემზადებოდით—ცხვირსახოცი ამოვიღეთ ჯიბიდან ცრემლების ამოსაწმენდათ ... მაგრამ ბოლოში, როცა წავიკითხეთ: **„ტარტაროზს ჟურნალში მოსათავსებლად“**,—გაგვეცინა და თვალებში ქუთუთოებზე მომდგარი ცრემლები უკანვე გავაბრუნეთ. წერილი დავკრძალეთ სპეციალურ სამარხში.

**ალეს** (აქ): გარდა თქვენს მიერ ჩამოთვლილ კატასტროფიულ-ტრაღიკულ შემთხვევებისა, არის კიდევ სხვა შემთხვევაც—სიმაღლიდან გადმოვარდნა. და სწორედ ეს უბედურება შეემთხვა თქვენს „შემთხვევებს“: ტარტაროზის საწერი მაგიდიდან გადმოვარდა და პირდაპირ გოდორში ჩაინარცხა. მდგომარეობა იმედიანია, მაგრამ დაბეჭდვისაგან გადარჩენილია თქვენი წერილი.

**აშუკს** (სოხუმი): ისიდორეს და რემანოზის ბედი თქვენს წერილსაც შეემთხვა. მასალა უნდა იყოს ადგილობრივ ცხოვრებიდან საზოგადო მნიშვნელობის.

**ხლაფორთს,** (ს. შუხუთი): იწერებით—**მესამეჯერ ვაგზავნი ამ კორესპონდენციასო.** ჩვენც მესამეჯერ ვაგზავნით ამ კორესპოდენციას გოდორში. რაც შეეხება სხვა ცნობების გამოგზავნას,—მოგვაწოდეთ.

**№ 7** (ხაშური: თქვენ წერილში ბევრ რამეზეა ლაპარაკი: აქაო-დაეპოს ნოქარი საყვარელ ქალთან (?-ის ცოლთან) ფართალს წიკავს და ჩარჩებს აძლევსო.., მისი ქმარი ლოთია და ცოლს ხელს უწყობს უზნეობაშიო... ნესაკავა ასეთიაო... ერთი სიტყვით ბევრი რამ სწერია, მაგრამ გაუგებრად არის დაწერილი. მხოლოდ ერთი წინადადება ამოვიკითხეთ: **„ერთხელ მეზობლის გოჭი ჩასულიყო მის ეზოში; აედუღებია ცხვირ-გრძელას წყალი და ეს დუღარე გადაუსხია გოჭისათვის“...** (საწყალი გოჭი!)

**ბანელს:** მიდგომა კარგია, ხოლო დამუშავებულია ცუდათ. ეს არის მიზეზი რომ არ ვბეჭდავთ.

**შავ-შენ-ვლად-ვენს** (ქუთაისი): „იმერულ სცენის“ ბოლოში, ასე გვწერთ: **„დიდი თუ იქნეს, ნაწილ-ნაწილად გაუშვით. გონორარი მალე“.** თქვენი „ბრძანების“ პირველი ნაწილი, ასე შევასრულეთ: ნაწილ-ნაწილად კი არა, ერთად გადავუშვით. რაც შეეხება გონორარს, მიაკითხეთ უფსკერო გოდორს; ჩვენ არ ვიცით—იქ მოთავსებულ მასალაში გონორარს იძლევიან თუ არა.

**მიხოს:** ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელშიაც არაფერი სასაცილო არ არის.

**ა. წიფნარელს** (ოზურგეთის მაზრა): არ არის გასაკვირი, რომ ასე გრძელ წერილს სწერთ—ცოლი გაგიშვიათ და „მოსვენებული“ ხართ... (მაგრამ ჩვენ რას გვერჩით!?)“.

**XXX-ს (ქუთაისი):** ადგილის უქონლობის გამო (ჟურნალში კი არა, ხშირად უფსკერო გოდორშიც არა გვაქვს ადგილი). თქვენი უსათაურო ლექსიდან მოგვყავს მხოლოდ შემდეგი:

**ჩავაბარე გამოცდები ორიანებზე;**
**უნივერსიტეტს მიმიღეს პროტექციაზე!**
**დამაჯინეს საინჟინრო ფაკულტეტზე;**
**თვეში ერთხელ შევიხედავ მე ლექციაზე.**
**მარტო ხაზვამ გამიჩინა ჭირი მე.**
**მათემატიკამ წამართო ტვინი მე;**

(სტყუით! დაუჯერებელია. ვერაფერსაც ვერ წაგართმევდათ).

**ეხლა დავალ, უნუგეშოთ ვსტირი მე!**
(კი გმართებთ ტირილი, მაგრამ...).
**ტარტაროზის წამალს ველი მისი ჭირიმე!**

თავი გრილ ალაგას ამოყავი,—აი ჩვენი რეცეპტი.

**შ. ჭკუასელს:** წერილი ვერ ამართლებს თქვენი გვარის პირველ ნაწილს. (თუ კი წერილი ცუდია,— ვერ შველის გვარიშვილობა)

**„კენტს“** (ლელვან-მარელისი): თქვენი **„პატაკი“** ასე თავდება:

**და ვამბობ:—შენს სამეფოში**
**თურმე ზოგ-ზოგებსა**
**არ აწყენს, თუ გადააწნავ**
**მოწითლო როზგებსა.**

..მაგრამ იმ ზოგ-ზოგებში“ რომ პირველი თქვენ იქნეთ?!

**მისტეს:** ამ თქვენს წერილში კაპიკნახევრის სიცილიც არ არის. ასეთ წერილებზე თუ თქვენ გაგეცინებათ, ეს ცუდი ნიშანია.

**ბუნ-მანს** (მუხიანი): ასე იწყებთ:
**მუხიანის კოოპერატივს ჰყავს ნოქარი ვილაც დავით, რომელთანაც შესულ მუშტარს ვაჭრობა აქვს მუდამ დავით.**

ალბად ფასი დაუკლიათ... ზრდილობაზე.

**ვაკაპუტს:** ალბად თვითონ თქვენ შეგდიოდათ ეჭვი თქვენი წერილის ვარგისიანობაში, რაც სჩანს აქედან:
**— თუ უფსკერო გოდორში მოუხდეს გამგზავრება.**
**—არ შემატყობინოთ, არ გამოაცხადოთ „ცნობათა მიღება„-ში, რომ თქვენი ტვინის ნალიტინევი არ დაიბეჭდებაო.**

ჩვენც ვასრულებთ თქვენს თხოვნას—არ ვაცხადებთ თქვენს გვარს.

**კვანტს:** ტარტაროზმაც კვანტი უქნა თქვენს „ალიტერაციას“.

**ფაქტს** (ხაშური): თქვენი წერილიც ისევე გამოიყურება, როგორც იმ ქალის თვალები. ამიტომ არც გასაკვირია თუ ჟურნალის გზას აცდა და სხვ ალაგას ამოჰყო თავი.

**ვა...კოს:** თქვენს წერილსაც ისეთივე ბედი ხვდა, როგორიც ჩემბერლენის ნოტას. ხომ გაგიგონიათ: **პირში მოსულსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა!?**

**შაირიანს,** (საჭილაო, სამტრედია): თქვენ გვწერთ:
**ალიოშა და ბათლომე მოსაკლავად გამოეკიდენ ყანაში ჩამოსულ ღორს, რომელმაც თავს უშველა, მაგრამ ცალი ყური მაინც მიაჭრეს.**

თქვენს წერილსაც „წავაჭერით“ ეს ყური და დანარჩენისათვის ხელი არ გვიხლია.

**ელბოს** (აქ): სტუდენტთა სასადილოს შესახებ ამნაირი წერილები არა ერთხელ ყოფილა „ტარტაროზში“, მაგრამ საქმის გამოსწორებას მაინც არ ეშველა. თუ კი თქვენი წერილი რაიმეს გამოასწორებს, ჩვენ დავბეჭდავთ, მაგრამ იმედი არა გვაქვს, და ამიტომ ტყუილ-უბრალოდ ადგილს აღარ ვხარჯავთ.

ჩვენ მაინც მოვათავსებთ შემდეგ კუპლეტებს:

**მესამე კურსის სტუდენტი**
**დღეს ცხარე ცრემლით ვსტირია.**

თუ თქვენ, ამ წერილის ავტორი, მესამე კურსის სტუდენტი ხართ,—მართლაც კი გმართებთ ტირილი. (რასაკვირველია: თავისთავზე).

**სტუდენტთა სასადილომ კი**
**შემყარა დეზენტერია...**

მუცლის დეზინტერია—არაფერია, გაივლის,—ხოლო არაფერი ეშველება ტვინისას. რა საჭირო იყო ამდენი წერა და ქაღალდი!? ეს ქაღალდი თქვენ უფრო გამოგადგებოდათ.

# პოლიტიკურ ბავშთა თამაში



ზემოთ—„ლაშქრობია“, ქვემოთ — „მთავრობია“

ალმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქ. № 68.